საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

3992-01-2-201908220943

N 01/3992
22/08/2019

გორის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ კონსტანტინე თავზარაშვილს

ბატონო კონსტანტინე,

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 7 აგვისტოს N02/14329 (სამინისტროში რეგისტრაციის N7070/01, თარიღი: 07.08.2019წ.) წერილი, რომელიც ეხება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის 2019 წლის 03 ივნისამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავების საკითხს.

გამომდინარე იქედან, რომ გორის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალება დამტკიცებულია 2019 წლის 03 ივნისამდე, გიდასტურებთ, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება შესაძლებელია დავალების დამტკიცებისას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ასეთი გეგმის დამტკიცებიდან 1 წლის ვადაში მისი საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფის პირობით. შესაბამისად, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შეთანხმების პროცესში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ჩაერთვება როგორც დაინტერესებული სახელმწიფო უწყება.

პატივისცემით,

ნინო გვენცაძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი